23/04/2025

სსკგ-ის თავმჯდომარემ ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების წინამძღვრებს სააღდგომო მილოცვა გაუგზავნა

2025 წლის 20 აპრილს მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარემ, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტმა ანტონიმ ქრისტეს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის მისალოცები გაუგზავნა დიდი ანტიოქიისა და სრულიად აღმოსავლეთის უნეტარეს პატრიარქს, იოანე X-ს; წმინდა ქალაქ იერუსალიმისა და სრულიად პალესტინის უნეტარეს პატრიარქს, თეოფილე III-ს; სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია II-ს; სერბეთის უწმინდეს პატრიარქს, პორფირეს; რუმინეთის უნეტარეს პატრიარქს, დანიელს; ბულგარეთის უწმინდეს პატრიარქს, დანიელს; ტირანისა და სრულიად ალბანეთის უნეტარეს მთავარეპისკოპოსს, იოანეს; ვარშავისა და სრულიად პოლონეთის უნეტარეს მიტროპოლიტს, საბას; ჩეხეთის მიწებისა და სლოვაკეთის უნეტარეს მიტროპოლიტს, როსტისლავს; სრულიად ამერიკისა და კანადის უნეტარეს მიტროპოლიტს, ტიხონს; ოხრიდისა და მაკედონიის უნეტარეს მთავარეპისკოპოსს, სტეფანეს.

მისალოც გზავნილში, კერძოდ, ნათქვამია:

მოკრძალებით გილოცავთ წმინდა პასექის დიდ და ბრწყინვალე დღესასწაულს და მოგესალმებით ძველი ქრისტიანული სიხარულის მაუწყებელი სიტყვებით:

ქრისტე აღდგა!

ამ მხსნელ და ნათელ ღამეს აღსრულდა ერთსამება ღმერთის უწინარეს საუკუნეთა ბჭობის განჩინება კაცობრივი მოდგმის გადარჩენის შესახებ. ხორცშესხმულმა ძე ღვთისამ, რომელიც ჩვენთვის მოკვდა და მესამე დღეს აღდგა, გაათავისუფლა ადამიანები ცოდვის მონობისგან, აღადგინა ჩვენი დაცემული ბუნება და სამოთხის კარი გაუღო ყველა მის მორწმუნეს.

„ქრისტე ზეციდან შთამოდის, ჩვენში შემოდის როგორც საფლავში, უერთდება ჩვენს სულებს და აღადგენს მათ“ (ღირსი სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველი. სიტყვა 29), რათა ვპოვოთ ჭეშმარიტი თავისუფლება და ვმონებდეთ ღმერთს განახლებულითა სულითა (რომ. 7:6), – მარადიული და ნეტარი ცხოვრების მოლოდინში ღმერთთან ერთად მის დაუღამებელ სასუფეველში.

მკვდრეთით აღდგომილმა სამყაროს მაცხოვარმა დაე, მოგანიჭოთ ჯანმრთელობა და დღეგრძელობა, და გიბოძოთ შემწეობა საწინამძღვრო მსახურებაში, ქრისტესმიერი სამწყსო თქვენი კი მშვიდობაში და კეთილდღეობაში დაიცვას.

მოწიწებით და ქრისტეში სიყვარულით,

მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების

განყოფილების თავმჯდომარე,

ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტი ანტონი

mospat.ru